

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

➤ დავალება არჩევითი პასუხებით (№1-13, 25.1-25.3)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით **X** ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. შეუძლებელია გადასწორებული პასუხის ხელმეორედ არჩევა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

➤ თანმიმდევრობის დადგენა (№14)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

➤ შესაბამისობის დადგენა (№15-17)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

➤ **შეცდომის გასწორება (№18)**

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

➤ **შეცდომის გასწორება (№19)**

დავალებაში მოცემულია ერთ თემასთან დაკავშირებული ორი ტექსტი. ორივე ტექსტი შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს. თქვენი ამოცანაა ტექსტების გაანალიზება, შეცდომების აღმოჩენა და ტექსტების შეფასება წინასწარ მოცემული სქემით განსაზღვრული კრიტერიუმებით. შეფასება ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

➤ **დავალება ღია დაბოლოებით (№20, 21, 22, 23, 24, 25.4-25.7)**

დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და კითხვა. პასუხი უნდა იყოს შეკითხვის ადეკვატური და კონკრეტული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

1. რა ეწოდება ადამიანის უნარს გამოხატოს და დაიცვას საკუთარი აზრი, პოზიცია სხვების შეურაცხყოფის გარეშე, მაშინაც კი, როდესაც მათ განსხვავებული აზრი გააჩნიათ?

ა. ეგოიზმი

ბ. ასერტულობა

გ. კონფორმიზმი

დ. ინტერესთა კონფლიქტი

2. რა სახელითაა ცნობილი უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბების პროცესი?

ა. ბოლონიის პროცესი

ბ. კემბრიჯის პროცესი

გ. ევროინტეგრაციის პროცესი

დ. გლობალიზაციის პროცესი

3. რომელი სამართლებრივი დოკუმენტი არ წარმოადგენს დეცენტრალიზებული მმართველობის საფუძველს საქართველოში?

ა. საქართველოს კონსტიტუცია

ბ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

გ. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია

დ. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

4. რომელი წლებია მიჩნეული არაკონსტიტუციური მმართველობის პერიოდად საქართველოში?

ა. 1989-1992

ბ. 1990-1995

გ. 1992-1995

დ. 1991-1998

5. 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად პრეზიდენტის რომელი უფლებამოსილება დარჩა უცვლელი?


ა. ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობა

ბ. ქვეყნის საშინაო პოლიტიკის წარმართვა

გ. შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა

დ. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნა

6. რა არის ასახული მოცემულ სქემაზე?



ა. სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი ეტაპები

ბ. გადაწყვეტილების მიღების მოდელი

გ. დაინტერესებული მხარეების ანალიზი

დ. პრობლემის გადაწყვეტის ციკლი

7. რომელი სახელი არ უკავშირდება საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მცდელობას გარდაეყმნა საბჭოთა პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა XX საუკუნის 80-იან წლებში?

ა. გლასნოსტი

ბ. პერესტროიკა

გ. ოტტეპელი

დ. უსკორენიე

8. რა სახელითაა ცნობილი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ?

ა. პალერმოს კონვენცია

ბ. პეკინის დეკლარაცია

გ. ორჰუსის კონვენცია

დ. ჟენევის კონვენცია

9. რა ეწოდება სახელმწიფოს ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ მოსახლეობის ცნობიერებაში შეხედულებათა გარკვეული სისტემისა და სტერეოტიპების ჩანერგვა-ჩამოყალიბებას მიზანმიმართული პროპაგანდის მეშვეობით, რისთვისაც მასმედიისა და განათლების სისტემის ინსტიტუტები გამოიყენება.

ა. ემანსიპაცია

ბ. სოციალიზაცია

გ. ინდოქტრინაცია

დ. სეკულარიზაცია

10. საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მოქალაქის მიერ პასიური და აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენების ასაკის შესახებ მსჯელობებიდან რომელია მართებული?

ა. მოქალაქეს აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენების შესაძლებლობა აქვს 25 წლიდან, ხოლო პასიურის - 18 წლიდან

ბ. მოქალაქეს აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენების შესაძლებლობა აქვს 25 წლიდან, ხოლო პასიურის - 16 წლიდან

გ. მოქალაქეს აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენების შესაძლებლობა აქვს 21 წლიდან, ხოლო პასიურის - 16 წლიდან

დ. მოქალაქეს აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენების შესაძლებლობა აქვს 18 წლიდან, ხოლო პასიურის - 21 წლიდან

11. ადამიანის თავისუფლების შესახებ მსჯელობებიდან რომელია მართებული ადამიანის უფლებათა სისტემის მიხედვით ?

- I. ინდივიდის თავისუფლება ნიშნავს განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების შესრულებისაგან;
- II. ინდივიდის თავისუფლება გამოწვევის შემთხვევებში გულისხმობს პასუხისმგებლობას;
- III. ინდივიდის თავისუფლება გულისხმობს სხვათა მიმართ მოთმინებას, თავშეკავებას.


ა. მხოლოდ I და III

ბ. მხოლოდ I და II

გ. მხოლოდ II და III

დ. I, II და III

12. დიაგრამა ასახავს საქართველოში 2008-2014 წლების დასაქმების დონის პროცენტულ მონაცემებს სქესობრივ ჯგუფში:



რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა. 2008-2014 წლებში დასაქმების დონე, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში სულ იზრდებოდა
- ბ. წლების მიხედვით ქალთა დასაქმების დონის ზრდა 1%-ს არ აღემატებოდა
- გ. 2014 წელს დასაქმების დონემ 2013 წელთან შედარებით იკლო როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში
- დ. 2008-2014 წლებში დასაქმების დონე ქალებში უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე მამაკაცებში

13. დავალებაში მოცემულია საქართველოში ბავშვებზე ძალადობის კვლევის შედეგები, რომელიც ასახავს ძალადობის მაჩვენებლებს ოჯახში, სკოლასა და სპეციალურ დაწესებულებებში ძალადობის ტიპის მიხედვით:

- ფიზიკური ძალადობა - სკოლა 47,1%, ოჯახი 54%, სპეციალური დაწესებულება 71,1%
- ფსიქოლოგიური ძალადობა - სკოლა 47,5%, ოჯახი 59,1%, სპეციალური დაწესებულება 61,5%
- სქესობრივი ძალადობა - სკოლა 5,6%, ოჯახი 7,8%, სპეციალური დაწესებულება 16,6%

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

- ა. მნიშვნელოვნად მეტია ფიზიკური ძალადობის შემთხვევები სკოლაში, ვიდრე ოჯახში
- ბ. სკოლაში ყველა ტიპის ძალადობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სპეციალურ დაწესებულებებში
- გ. ფსიქოლოგიური ძალადობის დონე უფრო მაღალია ოჯახში, ვიდრე სკოლაში ან სპეციალურ დაწესებულებებში
- დ. ბავშვები უფრო მეტ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სქესობრივ შეურაცხყოფას განიცდიან სპეციალურ დაწესებულებებში, ვიდრე ოჯახში ან სკოლაში

14. (1) თანმიმდევრულად დაალაგეთ სქემაზე მოცემული იდეოლოგიები მემარცხენეობიდან მემარჯვენეობისაკენ:



		1*	
--	--	----	--

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი

15. (2) I სვეტში მოცემულია კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, ხოლო II სვეტში - კონფლიქტის ტიპები. დაადგინეთ შესაბამისობა კონფლიქტის ტიპებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს შორის:

I. კონფლიქტის მიზეზები	II. კონფლიქტის ტიპები
ა. ურთიერთგამომრიცხავი მიზნები, სხვადასხვა კრიტერიუმი იდეებისა და ქცევის შესაფასებლად	1. ინტერესთა კონფლიქტი
ბ. ძლიერი ემოციები, სტერეოტიპები, ნეგატიური ქცევა	2. სტრუქტურული კონფლიქტი
გ. უთანასწორობა რესურსების განაწილების ან კონტროლის კუთხით	3. ურთიერთობების კონფლიქტი
დ. ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია, ამბების დამახინჯება	4. ღირებულებების კონფლიქტი
ე. ურთიერთგამომრიცხავი, შეუთავსებელი პოზიციები	5. ინფორმაციული კონფლიქტი

16. (1) I სვეტში მოცემულია სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის განმარტებები, ხოლო II სვეტში - დისკრიმინაციის სახეების ჩამონათვალი. დაადგინეთ მათ შორის შესაბამისობა:

I. განმარტებები	II. დისკრიმინაციის სახეები
ა. უცხო (ადამიანის, ჯგუფის, კულტურის) მიმართ ნეგატიური და წინასწარ განსჯითი დამოკიდებულება, სიძულვილი	1. რასიზმი
ბ. შიში ან ზიზღი განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების, მათი ცხოვრების სტილის მიმართ.	2. ჰომოფობია
გ. გარკვეული ეთნიკური ან რასობრივი ჯგუფის იზოლაცია საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, დამაბრკოლებელი ან ფაქტობრივი შეზღუდვა.	3. ქსენოფობია
დ. საზოგადოების გარკვეული ნაწილის რწმენა იმისა, რომ რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა შეიძლება იყოს დისკრიმინაციის საფუძველი განსხვავებული ჯგუფის მიმართ და მათ მიმართ გამოვლენილი ეს დამოკიდებულება გამართლებულია საკუთარი ჯგუფის უპირატესობით.	4. სეგრეგაცია

17. (1) დაადგინეთ შესაბამისობა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების რუკებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის:

I. საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების რუკა		II. საერთაშორისო ორგანიზაცია
ა. 	ბ. 	1. ნატო 2. ევროპის საბჭო 3. ევროპის კავშირი 4. ეუთო
გ. 	დ. 	5. დსთ 6. ოპეკი

18. (7) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა პლებისციტი, დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, სადაც მონაწილეთა 98,9 პროცენტმა კითხვას დადებითად უპასუხა. ამის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს „სახელმწიფოებრივი თავისუფლების აღდგენის აქტი.“

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველომ აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. 1994 წელს ნიუ-იორკში გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა. საქართველო ასევე არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და მსოფლიო ბანკის წევრი ქვეყანა. 1999 წლიდან საქართველო ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრია.

გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე

2014 წლის ზაფხულში ევროკავშირის შტაბ-ბინაში, ჟენევაში საქართველოსთვის უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეთანხმება შედგა. ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის წევრობის შესახებ შეთანხმებას.

საქართველოს პრიორიტეტულ მიმართულებას, ასევე, წარმოადგენს ნატოს - ჩრდილოატლანტიკური შეიარაღების ორგანიზაციის წევრობა. 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა.

ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში საქართველო მონაწილეობს ნატო-ს სამშვიდობო მისიებში, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს წვლილი ირანსა და ერაყში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ოპერაციაში. აღნიშნულ ოპერაციაში მონაწილე ნატო-ს არაწევრ პარტნიორ ქვეყნებს შორის საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვანი კონტიგენტი ყავდა.

- 19.** (6) დავალებაში მოცემულია ორი ტექსტი თემაზე „ბაზარი და კონკურენცია“. ტექსტები შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს. გაეცანით ტექსტებს, გააანალიზეთ მათი შინაარსი და შეაფასეთ ისინი შემოთავაზებული კრიტერიუმებით.

I ტექსტი:

ეკონომიკაში, თანამედროვე განმარტებით, ბაზარი ეწოდება კომერციული გაცვლის სისტემას მყიდველებსა და გამყიდველებს შორის, რომელსაც უპიროვნო ეკონომიკური ძალები – „საბაზრო ძალები“ – აკონტროლებს.

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ საკვანძო პრინციპს კონკურენცია წარმოადგენს. კონკურენციის ტიპებს შორის განიხილება სრულყოფილი კონკურენცია და მონოპოლია.

ეკონომიკაში არამართლზომიერია ბაზრის ვიწრო გაგება, როდესაც ბაზარს აღიარებენ ყიდვა-გაყიდვის კონკრეტულ ადგილად, სადაც ერთმანეთს ხვდებიან მყიდველები და გამყიდველები, ვინაიდან თანამედროვე ელექტრონული ვაჭრობის პირობებში არსებობს სხვა მრავალი ალტერნატივა.

ბაზრის საკვანძო შემადგენლებია: მოთხოვნა, მიწოდება და უზრუნველყოფა, რომელიც ყალიბდება ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე.

II ტექსტზე გადასვლა

შეფასების სქემაზე გადასვლა

II ტექსტი:

ბაზარი ეკონომიკური სივრცეა, სადაც ხდება ურთიერთობა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ბაზრის მეშვეობით დაიყვანება საქონელი და მომსახურება მწარმოებლებიდან მომხმარებლებამდე.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ბაზარს თავის დამახასიათებელი კომპონენტები გააჩნია, როგორიცაა: მომსახურებაზე ან პროდუქტზე მოთხოვნა, მიწოდება და მისი ფასი.

ეკონომიკაში კონკურენცია გულისხმობს ორი ან მეტი ადამიანის ან ორგანიზაციის მისწრაფებას მიიღონ ერთი და იგივე საქონელი, მომსახურება ან ფინანსური რესურსები. მომხმარებელი მეტოქეობას უწევს სხვა მომხმარებლებს, მწარმოებელი კი - სხვა მწარმოებლებს.

კონკურენციის ტიპებს შორის განასხვავებენ: სრულყოფილ კონკურენციას, მონოპოლისტურ კონკურენციას, მეგალოპოლიას და ოლიგოპოლიას.

ყურადღებით გაეცანით შეფასების სქემას და ორივე ტექსტი შეაფასეთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. დაწერეთ შესაბამისი ქულა შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე:

	I. კრიტერიუმები	II. მაქსიმალური ქულა	III. ქულების მინიჭების პრინციპი
A.	ბაზრის განმარტება	1	სწორადაა გადმოცემული ბაზრის არსი – 1 ქულა არ არის ან არასწორადაა გადმოცემული – 0 ქულა
B.	კონკურენციის ტიპები	4	თითოეული სწორად დასახელებული ტიპი - 1 ქულა
C.	ბაზრის სტრუქტურის ძირითადი ელემენტები	3	თითოეული სწორად დასახელებული ელემენტი - 1 ქულა

თქვენს მიერ მინიჭებული ქულები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში:

		A	B	C
19.1	I ტექსტის შეფასება			
19.2	II ტექსტის შეფასება			


I ტექსტზე დაბრუნება

II ტექსტზე დაბრუნება

20. (4) მოცემულია პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით სახელმწიფოთა ძირითადი მახასიათებლების არასრული სქემატური გამოსახულება. შეავსეთ სქემის ცარიელი უჯრედები:

	დემოკრატიული	არადემოკრატიული
ხელისუფლების წყარო	20.1 ?	რომელიმე ცალკეული ჯგუფის, ფენის ძალადობა დანარჩენ საზოგადოებაზე; თავსმოხვეული, საზოგადოების ნების საწინააღმდეგო მმართველობა
20.2 ?	მიიღება საზოგადოების ინტერესების მიხედვით და დაცულია მათი უზენაესობა თავად სახელმწიფოს მიერ	მიიღება მხოლოდ ცალკეული ფენებისა და ჯგუფების ინტერესების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში მათი დარღვევა/უგულებელყოფა სახელმწიფოს დასაშვებად მიაჩნია
მართვის წესი	დემოკრატიული იძულების მეთოდები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში	ძალადობა, დაშინება, საზოგადოებაში გულგრილობის პრინციპის დანერგვა აშკარად ან შენიღბულად
20.3 ?	თავისუფალია და ემსახურება საზოგადოების ინტერესებს	შეზღუდულია და ემსახურება მმართველთა ინტერესებს, მათთვის საინტერესო ინფორმაციისა და იდეების გავრცელებას
ბიზნესი, ეკონომიკა	თავისუფალია, სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება მხოლოდ კანონიერ ფარგლებში, ყველას ეძლევა მეწარმეობის თანაბარი შესაძლებლობა	20.4 ?

21. (3) მოცემულია რუკა „ჰუმანური განვითარების ინდექსი“ ლეგენდის გარეშე. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



21.1 ინდექსის როგორი დონეა რუკაზე მუქი მწვანე  ფერით აღნიშნული?

21.2 ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან: საქართველო, არგენტინა, პაკისტანი , ინდოეთი და ეგვიპტე, რომელს აქვს ამ ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი?


21.3 დაასახელეთ სამი ინდიკატორი, რომელიც გამოიყენება ამ ინდექსის გამოთვლისას?

22. (5) დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

- I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ I ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; (დავალება 22.2)
- II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომელიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული II ამოცანის შესრულებას; (დავალება 22.3)
- III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანის და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. (დავალება 22.1)

22.1	პროექტის მიზანი: (ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე)
22.2	პროექტის I ამოცანა: (განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე) პროექტის II ამოცანა: კანონთან უკონფლიქტო ცხოვრების უპირატესობისა და არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების (მათ შორის, კრიმინალური სუბკულტურის გავლენის) გაცნობიერების ხელშეწყობა.
22.3	<u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u> 1. საქართველოში მიმდინარე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმისა და დანაშაულის პრევენციის სახელმწიფო პოლიტიკის გაცნობა; 2. მოსწავლეების მიერ იუსტიციის სამინისტროს „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ საქმიანობის შესახებ პრეზენტაციების მოწყობა; 3. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანთა უფლებათა დაცვის საკანონმდებლო მექანიზმების შესახებ სადისკუსიო შეხვედრის მოწყობა; <u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u> (დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა) 1. 2. 3.

23. (4) გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:



- 23.1** რას შეიძლება განასახიერებდეს ილუსტრაციაზე ხელი, რომელიც წერს და რისი სიმბოლოა გილიოტინა?
- 23.2** რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი?
- 23.3** იმსჯელეთ არგუმენტირებულად ილუსტრაციით გადმოცემული პრობლემის აქტუალობის შესახებ, მოიყვანეთ მაგალითი.

24. (5) გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

„უმწიფრობაში ყოფნა ძალზე კომფორტულია. თუ მაქვს წიგნი, რომელიც განსჯას შემცვლის, მოძღვარი, რომელიც სინდისის მაგივრობას გამიწევს, ექიმი, რომელიც დიეტას ჩემს მაგივრად განსაზღვრავს და ა. შ. – მაშინ საკუთარი ძალისხმევა აღარ მჭირდება. არ მჭირდება აზროვნება, თუ შემძლია ფულის გადახდა – სხვები ჩემს მაგივრად შეასრულებენ მოსაბეზრებელ სამუშაოს. მეურვეები, რომლებმაც ასე კეთილად აიღეს საკუთარ თავზე ზედამხედველობის საქმე, იმაზე ზრუნავენ, რომ ადამიანთა უდიდესმა ნაწილმა სიმწიფისკენ გადადგმული ეს რთული ნაბიჯი საშიშადაც ჩათვალოს.“

„რა არის განმანათლებლობა?“ იმანუელ კანტი, 1724-1804

24.1 ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენს მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობისა და აქტუალობის შესახებ;

24.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად;

B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად;

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი)

25. (8) გაანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1



წყარო N2

მსოფლიო სტატისტიკა

მსოფლიო მასშტაბით ქალები

- ასრულებენ მთელი სამუშაოების 66 პროცენტს
- აწარმოებენ საკვების 50 პროცენტს
- გამოიმუშავენ მთელი შემოსავლების 10 პროცენტს
- ფლობენ ქონების 1 პროცენტს

წყარო: UNIFEM



წყაროებზე გადასვლა: [3](#); [4](#); [5](#)

დავალებებზე გადასვლა: [25.1](#); [25.2](#); [25.3](#); [25.4 - 25.7](#);

წყარო N3

„მაშასადამე, თუ გაირკვა, რომ ქალი და კაცი ერთნაირად ვერ დაეუფლება ამა თუ იმ ხელოვნებას და ვერც თანაბრად გაართმევს თავს ამა თუ იმ საქმეს, ჩვენ ვიტყვით, რომ ეს საქმე მათი უნარის შესაბამისად, ან ერთს უნდა მივანდოთ და ან მეორეს. ხოლო თუ ისინი მართო იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ქალი შვილსა შობს, კაცი კი ქალს ანაყოფიერებს, ჩვენ დავასკვნით, რომ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ იმ თვალსაზრისითაც, რომლითაც ამჯერად მათ განვიხილავთ. ამიტომ კვლავ განვაგრძობთ იმის მტკიცებას, რომ ჩვენი მცველებიცა [კაცებიც] და მათი ცოლებიც ერთსა და იმავე საქმეს უნდა ასრულებდნენ.“

„სახელმწიფო“, პლატონი, ძვ.წ. V-IV საუკუნე

წყარო N4

„მეგობარო! დღეს ქალებიც თხოულობენ მამაკაცებთან თანასწორ უფლებას. სჯობს, მიეცეს, თუ არა, რას იტყვი? ... მე მხოლოდ ამას ვიტყვი: დიდად და დიდად საჭიროა დაკმაყოფილდეს ქალთა მოთხოვნილება. მჯერა, მწამს და ვერცავინ შემაცვლეინებს ამ რწმენას. დღეს რომ მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში, გავლენიან ადგილებზე მინისტრებისა და სხვა, დედაკაცები იყვნენ, დღევანდელი გამწვავებული და გამწარებული ცხოვრება რუსეთისა მაღამოს დაიდებდა და საჭირო რეფორმებს მალე ველირსებოდით. დედაკაცები ამდენს სიჯიუტეს არ გამოიჩენდნენ, როგორსაც დღეს იჩენენ მაღალი სფეროს მაღალნი პირნი_ისინი ხომ მამაკაცები არიან – „კაი ბიჭობად“, „გულ-მაგრობად“ არ გაასაღებდნენ თავიანთ სიჯიუტეს, ვინაიდგან დედაკაცი უფრო ღმობიერნი, გრძნობიერნი არიან და დღევანდელი ცხოვრება ყველაზე მეტად რას მოითხოვს, თუ გარდა ერთის გრძნობისა, რომელსაც ეწოდება შებრალება, შეწყნარება. [...]

ამიტომ მენატრება, რომ დედაკაცს მიეცეს ისეთივე უფლება, რაც მამაკაცს, როგორც სწავლაში, ისე სამსახურში... შენ როგორც გნებავს, იფიქრე; საჭიროა გაქვავებული გული მამაკაცისა გაათბოს დედაკაცის ხმამ და მისი რწმენა, რომ მამაკაცი ვარ, მე ადვილად არ უნდა გავტყდე, არ უნდა მოვიხადო ქედი ხალხის მოთხოვნილების წინაშე, რათა სილაჩრე არავინ დამწამოსო, უნდა მოათავსოს კეთილგონიერების ფარგალში იმავე დედაკაცის ხმამ...”

„სადღეისო წერილი მეგობართან“, ვაჟა-ფშაველა, 1861-1915

წყარო N5

„საზოგადოდ ჩვენ, ქალებს, ჩვენშიაც და სხვაგანაც ძალიან გვიზღუდავენ ყველა მისწრაფებას (ახლაც განვიცდით) იმ მოსაზრებით, რომ ქალებს გენიოსები არა გვყავს, რომ ქალმა ვერაფერში, თვით „კუხნაში“ და მუსიკაში, რომელნიც დიდი ხანია მას საცოდნელად არგუნეს ვერ გამოიჩინა უნარი. ესეთი აზრი ბევრმა მკვლევარმა, მეცნიერმაც - კი აღიარა და დაამტკიცა [...] შემოქმედება არის თავისუფალი სახვა თუ შესაძლოა, რომ ეს შემეცნება მოკლედ ასე განიმარტოს, ხოლო თავისუფალი სახვა შეუძლიან თავისუფლად ფურჩქენილ არსებას. ისე რომ სამყაროში ქალების გენიოსი თუ ვერ დაგვისახელებია, ამით კიდევ ვერ ვიწამებთ იმას რომ ბუნებას დედაკაცი მდარე არსებათ გაუჩენია...”

ბაბო სულხანიშვილი, „სიმართლის გზისკენ“, 1917

25.1 პლატონის აზრით:

- ა. ქალის ფუნქცია ბავშვების გაჩენაა, ხოლო მამაკაცის მხოლოდ ოჯახზე ზრუნვა და მისი დაცვა
- ბ. ქალი და კაცი ერთმანეთისაგან ბიოლოგიურად განსხვავდებიან, ამიტომ ისინი სხვადასხვა საქმიანობით უნდა იყვნენ დაკავებულნი
- გ. მიუხედავად ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებულობისა, ისინი მაინც თანასწორნი არიან და ისინი ერთსა და იმავე საქმეს უნდა აკეთებდნენ
- დ. ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ბუნებრივი მოცემულობაა და საზოგადოებამ საკუთარი ცხოვრება ამ პრინციპის მიხედვით უნდა მოაწყოს

წყაროებზე დაბრუნება: [1;](#) [2;](#) [3;](#) [4;](#) [5](#)

დავალებებზე გადასვლა: [25.2;](#) [25.3;](#) [25.4-25.7](#)

25.2 ვაჟა-ფშაველას მიხედვით, ქალთა ჩართვა საჯარო საქმიანობაში მნიშვნელოვანია, ვინაიდან:

- ა. ქალებს უკეთ ეხერხებათ მთელი რიგი საქმიანობები, მათი ბიოლოგიური თავისებურებების გამო
- ბ. ქალები უფრო ინტელექტუალები არიან, ვინაიდან უფრო შრომისმოყვარენი არიან
- გ. მამაკაცები ხშირად ვერ ართმევენ საკუთარ საქმიანობას თავს, ვინაიდან პატივმოყვარეობა არ აძლევთ დათმობაზე წასვლის საშუალებას
- დ. ქალებს გაუჭირდებათ ისეთი საქმეების გაკეთება, რომლებიც ისტორიულად მათთვის შეუფერებელ საქმიანობად ითვლება

წყაროებზე დაბრუნება: [1:](#) [2:](#) [3:](#) [4:](#) [5](#)

დავალებებზე გადასვლა: [25.1;](#) [25.3;](#) [25.4 -25.7](#)

25.3 რომელი მოსაზრება შეესაბამება ბაბო სულხანიშვილის (წყარო N5) მთავარ სათქმელს?

- ა. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ქალები და მამაკაცები თანასწორები არიან
- ბ. ქალთა შორის ცოტა გენიოსია, ვინაიდან ქალები არ ფლობენ სათანადო უნარ-ჩვევებს
- გ. ქალები ბევრად უფრო გაწაფულები არიან საოჯახო საქმიანობაში, ვიდრე სხვა ტიპის საქმიანობებში, ვინაიდან მათ ამ ტიპის საქმისადმი ბუნებრივი მიდრეკილება გააჩნიათ
- დ. მცდარია მოსაზრება - ქალები არ არიან მამაკაცის სწორნი, რადგან მსოფლიომ ცოტა გენიოსი ქალი იცის - ვინაიდან ქალები ამას ვერ მიაღწევდნენ, რადგან არ ჰქონდათ შესაბამისი თავისუფლება

წყაროებზე დაბრუნება: [1:](#) [2:](#) [3:](#) [4:](#) [5](#)

დავალებებზე გადასვლა: [25.1:](#) [25.2:](#) [25.4 -25.7](#)

- 25.4** დაწერეთ ძირითადი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს N2 წყაროს ყველა მონაცემის საფუძველზე;
- 25.5** როგორ ფიქრობთ, რა არის N1 წყაროს მთავარი სათქმელი?
- 25.6** წყაროების გამოყენებით ახსენით, რა შეიძლება იყოს N1 წყაროში აღწერილი პრობლემის მიზეზი;
- 25.7** იმსჯელეთ რამდენად აქტუალურია წყაროებში მოცემული პრობლემა დღევანდელი საქართველოსთვის. მსჯელობა დაასაბუთეთ.

წყაროებზე დაბრუნება: [1](#); [2](#); [3](#); [4](#); [5](#)

დავალებებზე გადასვლა: [25.1](#); [25.2](#); [25.3](#)